შ პ ს

„ საპროექტო მმს+’’

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ასურეთის

საჯარო სკოლის შენობის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი

(მოპი)

თბილისი **2022** წელი

შპს

„საპროექტო მმს+''

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ასურეთის

საჯარო სკოლის შენობის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი

(მოპი)

დირექტორი ლ. მაჩაიძე

ორგანიზების პროექტის ავტორი ტ. სტურუა

თბილისი **2022** წელი

შემადგენლობა

ა)განმარტებითი ბარათი

I.შესავალი

II.სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III.სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV.სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII. სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება

VIII.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „დო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“; სადემონტაჟო სქემა“

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ასურეთის საჯარო სკოლის შენობის „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი (მოპი)“ დამუშავებულია შპს „საპროექტო მმს+’’-ის მიერ.

წინამდებარე „ სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი(მოპი) “ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1.სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“

2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“

3. სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“

4. ტექნიკური რეგლამენტი „ მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“

5 . ტექნიკური რეგლამენტი „ შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“

6. ტექნიკური რეგლამენტი „ სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“

7. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 255 დადგენილება

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე, სნდაწ 3.01.01-85*-ის მოთხოვნის თანახმად დემონტაჟის შემსრულებელმა ორგანიზაციამ

აუცილებლად უნდა უზრუნველყოს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს დამუშავება. აკრძალულია დემონტაჟის დაწყება დამტკიცებული „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

დამკვეთის მიერ აუცილებლად უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველობა სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე.

დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ სკოლის სადემონტაჟო შენობის უახლესი გარე კონტურიდან საორიენტაციოდ 80 მეტრის მანძილზე მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი - ასურეთის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის შენობა.

აუცილებელია, რომ სკოლის შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს გამორიცხული იქნას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - ასურეთის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის შენობის დაზიანება და საჭიროების შემთხვევაში გატარდეს ღონისძიებები მისი დაზიანებისგან დასაცავად.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ასურეთის საჯარო სკოლის სადემონტაჟო შენობა განლაგებულია სოფ. ასურეთში, სკოლის ტერიტორიაზე (ს/კ 84.04.45.296). მიწის ნაკვეთის ფართობი-6030 მ2.

სკოლის სადემონტაჟო შენობა (ნომერი საკადასტრო გეგმაზე-01/2) არის ორსართულიანი, მართკუთხედის ფორმის. შენობის საერთო ფართობი- 888 მ2.

ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 31 მარტის N 001968622 საექსპერტო დასკვნის თანახმად:

შენობა არის უსარდაფო, შედგება ორი ფლიგელისგან:

ორსართულიანი ძირითადი სასწავლო კორპუსისგან (აშენებულია

გასული საუკუნის 70-იან წლებში) და ერთსართულიანი

სპორტული დარბაზისგან (მიშენებულია 2000 წელს), რომლებიც

ერთმანეთთან დაკავშირებულია ერთსართულიანი გადასასვლელით.

კონსტრუქციულად შენობა მთლიანად მზიდკედლებიანია.

საძირკვლები- სავარაუდოთ ლენტური, მონოლითური ბეტონის ან დახერხილი ქვის წყობით.

მზიდი კედლები- ბეტონის წვრილი ბლოკების.

სართულშუა გადახურვები და დახურვა -ანაკრები რკ/ბეტონის ფილები.

სახურავი- ქანობიანი, ხის კონსტრუქციებზე, პროფილირებული თუნუქის ბურულით.

შენობის მზიდ კედლებში გაჩენილია დახრილი ბზარები. ცალკეულ ადგილებში გადახურვის ფილები დეფორმირებულია. შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და მისი შემდგომი ექსპლუატაცია მიზანშეუწონელია.

სკოლის ტერიტორიაზე არსებული საქვაბის შენობის დემონტაჟი არ ხორციელდება. დემონტაჟს ექვემდებარება მხოლოდ გათბობის ქვაბი, საკვამლე მილი და საქვაბეში შემავალი დ/წ გაზის ქსელი.

სკოლის შენობას არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, თუმცა იგი ხვდება ძეგლის- ასურეთის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის ინდივიდუალური დამცავი ზონის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებში. საორიენტაციო მანძილი სკოლის სადემონტაჟო შენობის უახლოესი გარე კონტურიდან ეკლესიის შენობამდე შეადგენს 80 მეტრს. ეკლესიის შენობა იმყოფება დამაკმაყოფილებელ კონსტრუქციულ მდგომარეობაში.

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ასურეთის საჯარო სკოლის შენობის დემონტაჟის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე, სამუშაოთა შეთავსებადობისა და ეტაპობრიობის გათვალისწინებით და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 2 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა-0,15 თვე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

შენობის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი- მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი- დემონტაჟის ძირითადი სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

1) სადემონტაჟო მოედნის დროებითი შემოღობვის მოწყობა.

2) დროებითი შენობების მოწყობა.

3) შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან.

4) სახიფათო ზონების ამკრძალავი, გამაფრთხილებელი ნიშნების და სიგნალების მოწყობა.

5) დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა.

6) საქვაბეში შემავალი დ/წ გაზის ქსელის ჩაჭრა და დემონტაჟი. გათბობის ქვაბისა და საკვამლე მილის დემონტაჟი.

ძირითად პერიოდში ერთდროულად, პარალელურ რეჟიმში ხორციელდება შენობის ძირითადი სასწავლო კორპუსის, სპორტული დარბაზისა და გადასასვლელის სადემონტაჟო სამუშაოები შემდეგ ცალკეულ ეტაპებად:

I ეტაპი - სახურავის ელემენტების დემონტაჟი

II ეტაპი- მეორე სართულის ელემენტების დემონტაჟი

III ეტაპი -პირველი სართულის ელემენტების დემონტაჟი.

IV ეტაპი - საძირკვლების დემონტაჟი. წარმოშობილი ტრანშეის გრუნტით შევსება .

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ , „სახურავიდან- საძირკვლების ჩათვლით“, ელემენტური დაშლის , გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის და დაშლა-მონგრევის მეთოდებით, დემონტაჟის წარმოების ტექნოლოგიის შესაბამისად.

სადემონტაჟო სამუშაოები თითოეულ სართულზე წარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) კომუნიკაციების, იატაკების , შეკიდული ჭერების დემონტაჟი

ბ)ტიხრების, კარებებისა და ფანჯრების დემონტაჟი

გ)მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი თითოეულ სართულზე წარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) გადახურვის და დახურვის კონსტრუქციების დემონტაჟი.

ბ) მზიდი კედლების დემონტაჟი. .

შენობის მზიდი ელემენტების დემონტაჟის ბოლო ეტაპი არის საძირკვლების დემონტაჟი.

საძირკვლების დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი ტრანშეა შეივსოს ადგილობრივი გრუნტით და მოშანდაკდეს.

V.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობის სადემონტაჟო სამუშოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა.

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - ასურეთის მაცხოვრის ეკლესიის შენობის დაზიანებისგან დაცვის მიზნით, სადემონტაჟო სამუშაოების ძირითადი ნაწილი (გარდა ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟისა) წარმოებს ხელით: ხელის იარაღების, ინსტრუმენტებისა და მცირე მექანიზაციის საშუალებათა გამოყენებით. მონოლითური და ქვის კონსტრუქციების (საჭიროების შემთხვევაში) დემონტაჟი ხდება მცირე სიმძლავრის კომპრესორის გამოყენებით. ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი წარმოებს მცირე ტვირთამწეობის ამწით (ტვირთამწეობით 16 ტნ).

აკრძალულია ექსკავატორ-კოდალას გამოყენება.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს არსებული გარე ქსელებიდან შენობის ყველა შიგა კომუნიკაცია (დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა).

ანაკრები მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა,განლაგება და მაქსიმალური წონა.

მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული მათი დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ ანუ „სახურავიდან-საძირკვლების ჩათვლით“.

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

„სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში დამუშავდეს ანაკრები მზიდი კონსტრუქციების ელემენტური დაშლის დეტალური მეთოდები და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა. ასევე დამუშავდეს დეტალური ღონისძიებები არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის- ასურეთის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის შენობის დაზიანებისგან დასაცავად.

პირველ რიგში დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ანაკრები კონსტრუქციები, დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვით.

მზიდი კედლების დემონტაჟის დაწყება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე დაყრდნობილი გადახურვის და დახურვის ყველა ელემენტი დემონტირებულია.

აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს სადემონტაჟო კონსტრუქციების დროებითი დამაგრება- დაჭერა.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

საინჟინრო ქსელების დაშლის დროს ხდება მათი დანაწევრება დაჭრით. შეერთებების დაშლა შესაძლებელია ხელის ჩაქუჩებით.

იატაკების დემონტაჟი უნდა მოხდეს ელემენტურად ხელით, მცირე მექანიზაციისა და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით.

კარებების, ფანჯრების , სახურავის დემონტაჟი ხორციელდება ხელით, ელემენტური დაშლით.

მზიდი კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი ხორციელდება ორი მეთოდით:

1) ელემენტური დაშლის გზით- მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალის კედლების და ტიხრების დემონტაჟი

2) გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის გზით- მეორადი გამოყენებისთვის უვარგისი მასალის კედლების და ტიხრების დემონტაჟი.

აკრძალულია კედლების დემონტაჟი პირდაპირი მონგრევის გზით.

კედლების დემონტაჟი სწარმოებს დროებითი ინვენტარული ხარაჩოების გამოყენებით .

კედლების დაშლა - მონგრევა (საჭიროების შემთხვევაში), მონოლითური ბეტონისა და ქვის კონსტრუქციების დაშლა-მონგრევა ხორციელდება ხელით, პნევმატური ჩაქუჩების გამოყენებით (მცირე სიმძლავრის კომპრესორის ბაზაზე).

კედლების გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის შემთხვევაში ამ ბლოკების დემონტირება და ტრანსპორტირება მიწამდე ხორციელდება საავტომობილო ამწით, ტვირთამწეობით 16 ტნ.

გადახურვის და დახურვის ანაკრები რკ/ბეტონის ფილების დემონტაჟი ხორციელდება მათი ელემენტური დაშლის მეთოდით, საავტომობილო ამწის დახმარებით, ტვირთამწეობით 16 ტნ.

მიწის დამუშავება საძირკვლებში, სამშენებლო ნაგვის აღება და ავტოთვითმცლელებზე დატვირთვა ხორციელდება ექსკავატორით, ჩამჩის ტევადობით 0,25$მ^3$. ნაგვის გატანა ხორციელდება მცირეგაბარიტული ავტოთვითმცლელებით.

მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალები, დეტალები და კონსტრუქციები დროებით დასაწყობდება სადემონტაჟო მოედანზე განთავსებულ დროებით სასაწყობო მოედნებზე, ცალკეული სახეობების მიხედვით.

შენობის სადემონტაჟო სამუშაოები (რკ/ბ ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი; ხის ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი; კედლების და ტიხრების გამსხვილებული ბლოკების დემონტაჟი; მძიმე დეტალებისა და ნაკეთობების დემონტაჟი; ვარგისი მასალების ჩამოღება; სამშენებლო ნაგვის ჩამოღება და სხვ.) ხორციელდება საავტომობილო ამწის გამოყენებით, ტვირთამწეობით 16 ტნ.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ამწე მოძრაობს შენობის გარედან, კონტურის გასწვრივ , მიბმით შენობასთან 4,0 მეტრზე (იხ. „სადემონტაჟო გენგეგმა“).

საავტომობილო ამწე მუშაობს როგორც ისრულ, ასევე ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება სართულებიდან ხორციელდება დახურული ღარების მეშვეობით.

სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდაწ - III-4-80*-ის და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები.

VI.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

შენობის სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. საავტომობილო ამწე, ტვირთამწეობით 16 ტნ. -1 ცალი
2. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 0,25$მ^3$-1 ცალი
3. მცირე სიმძლავრის მოძრავი კომპრესორი-1 ცალი
4. მცირეგაბარიტული ავტოთვითმცლელი-1 ცალი
5. მცირეგაბარიტული ბორტული ავტომანქანა-1 ცალი
6. ავტოდამტვირთავი-1 ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები-1 კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები-1 ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩები-1 ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი-1 ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები-60 $მ^2$

VII. სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები და უსაფრთხოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა კომუნიკაციები (დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა) აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები,განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონის საზღვარი სადემონტაჟო შენობის კონტურის გარშემო შეადგენს 3,0 მ-ს. სახიფათო ზონა აუცილებლად უნდა მოექცეს საჩეხიანი დროებითი ღობის კონტურს შიგნით.

დროებითი შემოღობვის მოწყობის საკითხები დეტალურად გადაწყდეს უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სადემონტაჟო მოედნის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონებში.

დემონტაჟის სახიფათო ზონის მოცემული რადიუსი დაზუსტდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში ან ადგილზე,

უშუალოდ სამუშაოთა დაწყების წინ. დემონტაჟის სახიფათო ზონა შემოიღობოს საჩეხიანი დროებითი ღობით და აღინიშნოს კარგად დასანახი ნიშნებით და სიგნალებით.

ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით(უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელები, რეზინის ხელთათმანები, დამცავი ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების,რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება და ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებებისა და ინსტრუქტაჟის შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

შენობის სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სახიფათო ზონაში.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ,გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს. სადემონტაჟო სამუშაოები უნდა წარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლისა და უსაფრთხოების მენეჯერის

მეთვალყურეობით. სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოებაზე უშუალოდ პასუხისმგებელია უსაფრთხოების მენეჯერი და სამუშაოთა მწარმოებელი.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით ნაგავსაყრელზე.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

+

VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ასურეთის საჯარო სკოლის შენობის

დემონტაჟი

დემონტაჟის ხანგრძლივობა- 2 თვე

№	სადემონტაჟო სამუშაოთა დასახელება	ხანგრძლივობა (თვე)	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი	
			თვეები	
			I	II
1	2	3	4	5
	I. მოსამზადებელი სამუშაოები:			
1	სადემონტაჟო მოედნის დროებითი შემოღობვა.	0.15	—	
2	დროებითი შენობების მოწყობა. შიგა ქსელების გამორთვა გარე ქსელებიდან . საქვაბეში შემავალი დ/წ გაზის ქსელის ჩაჭრა და დემონტაჟი. გათბობის ქვაბისა და საკვამლე მილის დემონტაჟი.	0.15	—	
3	დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა. ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნების და სიგნალების მოწყობა.	0.15	—	
	II. ძირითადი სადემონტაჟო სამუშაოები (ძირითადი სასწავლო კორპუსი; სპორტული დარბაზი; გადასასვლელი):			
4	სახურავის ელემენტების დემონტაჟი.	0.25	—	
5	მეორე სართულის ელემენტების დემონტაჟი.	0.6	—	
6	პირველი სართულის ელემენტების დემონტაჟი.	0.6		—
7	საძირკვლების დემონტაჟი. ტრანშეის შევსება გრუნტით.	0,4		—
8	სამშენებლო ნარჩენების გატანა მოედნიდან.	1,0		—
9	მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალების გატანა მოედნიდან.	1,0		—

სადემონტაჟო გენგეგმა 1:900



სადემონტაჟო სქემა



პირობითი აღნიშვნები

- სადემონტაჟო შენობა
- სკოლის ეზოს საზღვარი (საკადასტრო)
- ღია სასაწყობო მოედანი
- დროებითი შენობა
- საავტომობილო ამწე
- ამწის სვლის ღერძი
- ამწის კიდურა დგომი
- დროებითი ღობე
- სახიფათო ზონის საზღვარი

შენიშვნები:

1. წინამდებარე ნახაზი „დო -1" იხილეთ განმარტებით ბარათთან ერთად.
2. წინამდებარე სადემონტაჟო გენგეგმა დამუშავებულია შენობის მიწისზედა ნაწილის დემონტაჟის პერიოდისთვის.
3. შენობის დემონტაჟი ხორციელდება საავტომობილო ამწის დახმარებით, ტვირთამწეობით 16 ტნ. სამუშაოთა წარმოებისას ამწე მოძრაობს შენობის შიდა ეზოში, გარეთა მხრიდან, კონტურის გასწვრივ, მიბმით შენობასთან 4.0 მეტრზე.
4. ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ-III-4-80*-ის და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად.
5. ამწის სამოძრაო ზოლი, სახიფათო ზონის რადიუსი და დროებითი ღობის მოწყობის საკითხი დაზუსტდეს უშუალოდ ადგილზე.

შპს „საპროექტო მმს+"	სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ასურეთის საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობების დემონტაჟი				
ორგ. პრ. ავტორი	ტ.სტურუა		სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი		
			სადემონტაჟო გენგეგმა. სადემონტაჟო სქემა	ფურც	სულ
				დო-1	1
				მ 1: 900	